



უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№8 (27) 2013



უნივერსიტეტი ირჩევს რექტორს

16 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალ რექტორს აირჩევნ. რექტორობის კანდიდატთა განცხადებების მიღება 2013 წლის 12 ივლისის 18 საათზე დასრულდა. შესულთაგან ხუთი განცხადება რეგისტრაციაზე საკონკურსო კომისიის მიერ არ იქნა განხილული შემდეგ გარემოებათა გამო:

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რექტორი მიეკუთვნება უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას. ამასთანავე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის № 208/ნ ბრძანებით, არ არის განსაზღვრული სხვაგვარი შესაძლებლობა რექტორის თანამდებობის დაკავებისათვის ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით.

შესაბამისად, დღეისთვის კონკურსში მონაწილეობას 14 კანდიდატი იღებს: ვლადიმერ პაპავა; გიორგი ქავთარაძე; გიორგი ბარამიძე; ილია თავხელიძე; ცირა ბარამიძე; მერაბ ცაგარელი; ირმა რაგინი; მედეა ჩუხუა; მარინა მუსხელიშვილი; მანანა ხაჩიძე; მარინე ჩიგაშვილი; ინესა მერაბიშვილი; ნონა წოწერია; დავით გოცირიძე.

კონკურსანგთა უმრავლესობა წარმატებული მეცნიერი და უაღრესად საპატივსაცემო ფიგურაა ქართულ სამეცნიერო წრეებში. შესაბამისად, საკმაოდ რთულია 4 გვერდიან საგამეთო გამოშვებაში ყველა მათგანის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდება ან იმ პროგრამების ძირითადი არსის ასახვა, რომელიც კანდიდატებმა საკონკურსოდ წარმოადგინეს. ვერც იმის პრეგენზიას გამოვითქვამთ, რომ რამდენიმე აბზაცში სწორედ იმის თქმას და გამოყოფას შევძლებთ, რაც თავად ავტორისთვის უმთავრესი და მნიშვნელოვანია.

ამიგომ, აქ თითოეული მათგანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობებისა და ხედვების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოგიდგენთ იმ იმედით, რომ მკითხველი უნივერსიტეტის რექტორობის მსურველთა ვინაობითა და გეგმებით დაინტერესდება და სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდს მიაკითხავს: www.tsu.edu.ge



ცირა ბარაბიძე



მერაბ ცაგარულიძე



ირმა რაგიაანი



მელა ჩუხუა

უნივერსიტეტი ირჩევს რექტორს

გეგმები. არის "Neurophysiology, Spinger" რეკლამების წერილი, რომელიც რედაქტორი გახლავთ 160-ზე მეტი ნაშრომის (აქედან 2 მონოგრაფიის, 70 სტატიის და 90 თეზისი) ავტორი.

კონცეფცია – მერაბ ცაგარულიძის კონცეფციის განხილვას ფინანსებზე საუბრით იწყებს, რადგან „საკმარისი ფინანსების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე უნივერსიტეტის განვითარება“. კონცეფციაში მხარდაჭერილია უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ქცევა. აქვე იმელება გამოთქმული, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო უნივერსიტეტს 50 პროცენტით დააფინანსებს, რისი ნაწილიც პროფესორთა ხელფასის და სტუდენტთა სტიპენდიის მრავალ მხარდაც; კონცეფციაში ამ კონცეფციას უნივერსიტეტის მეგობართა და კურსდამთავრებულთა ერთობის შექმნაზე არის საუბარი; კონცეფციაში აღნიშნულია უნივერსიტეტის დეცენტრალიზაციის აუცილებლობა; აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა; ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კამპუსის მშენებლობის მხარდაჭერა; ლექტორთა და სტუდენტთა შორის თანაფარდობის დარღვევების – სწავლების ხარისხის ასამაღლებლად; თვალსაზრისით თანამედროვე საშუალებების გამოყენების აუცილებლობა; ასევე საუბარია იმაზე, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართვა კვლევაში; სახელმწიფო საგანთა გაზრდა; არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან ინტეგრაცია; ევროპული ESTC სერთიფიკატის მოპოვება და ა.შ. ცალკე თავები აქვს მიძღვნილი უმაღლესი პროფესიული სკოლისა და კვლევის განვითარებას; საერთაშორისო კავშირებს; ბიბლიოთეკების განვითარებასა და თსუ გამომცემლობის სრულყოფას. კონცეფციაში კულტურასა და სპორტზეც არის საუბარი, საბოლოო მიზნად კი დასახულია 2020 წლისთვის თსუ-ს ქვედა ევროპის საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის ვეზი.

ირმა რაგიაანი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი; 2006 წლიდან დღემდე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი; ეროვნული საგარანგო კონკურსის გამარჯვებული; შედარებითი ლიტერატურის სწავლებათა ევროპული ქსელის წევრი; საქართველოს შედარებითი ლიტერატურის ასოციაციის პრეზიდენტი; შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის წევრი; ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო კონგრესების „სჯანი“ და „ლიტინფო“ მთავარი რედაქტორი; ოცდაათამდე ლოკალური და საერთაშორისო საგარანგო პროექტის ხელმძღვანელი; არის არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე; 8 წიგნისა და 70-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. არის კომპარატივისტული ლიტერატურის პროფესორი 6 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მიღებული აქვს „ბრწყინვალეების საპრემიული ორდენი“, გრ. კიკნაძის სახელობის პრემია ლიტერატურათმცოდნეობის დარგში, საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში აღ. დიუმას ცენტრის პრემია. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიანია.

კონცეფცია – ირმა რაგიაანი კონცეფციას იმ მოტივებზე საუბრით იწყებს, რამაც მას კონკურსში მონაწილეობისკენ უბიძგა. მთავარი მოტივი

„უნივერსიტეტობა“, თსუ-ს ცხოვრებასა თუ მართვაში მიღებული მონაწილეობის გამოცდილება და გულშემატკივრობის განცდა. კონცეფციის კანდიდატი, როგორც თავად ამბობს, „დაბეჯითებული პოზიციის“ გამოხატვით იწყებს და აცხადებს, რომ რექტორი შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს აკადემიურ საბჭოსთან, როგორც უნივერსიტეტის უმაღლეს მმართველ რგოლთან და ნერვულ მის გადარწმუნებებს მაქსიმალურად მოქნილი და მისდები ფორმებით. რექტორის მოვალეობაა ემსახუროს უნივერსიტეტს, საუნივერსიტეტო განვითარების იდეას და საქმეს, რისი განხორციელებაც შეუძლებელია ერთპიროვნული გადაწყვეტილებების პირობებში. კონცეფციაში გამოთქმულია პროფესორის აკადემიური თავისუფლების და გრძელვადიანი კონტრაქტების (6 წელი) დადების და მუდმივი პროფესორის პოზიციის იდეის მხარდაჭერა; საუბარია ემერიტუს-პროფესორების დაფინანსების პრინციპის გადახედვასა და გაუქმობებზე; აკადემიური საბჭოს წევრთა საქმიანობის დაფინანსების მნიშვნელობაზე; კონცეფცია ითვალისწინებს – გრადიციის უწყვეტობისა და თაობათა კავშირის ხელშეწყობას; უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემების განსაკუთრებულ ყურადღებას; არსებული საფაკულტეტო ორგანიზაციის შენარჩუნებას და გაძლიერებას; ფაკულტეტების პროფესორის სახელფასო ანაზღაურების განსაზღვრას ფაკულტეტების შემოსავლების შესაბამისად; შიდა უნივერსიტეტო საგარანგო სისტემის შემოღებას; სამეცნიერო თარგმანის საუნივერსიტეტო ცენტრის შექმნას; საბაკოსის ინსტიტუტის გაძლიერებას; სამეცნიერო პრემიების გრადიციის დანერგვას; უნივერსიტეტის კონსერვაციის ბაზის შექმნა-განვითარებას. ცალკე თავი აქვს მიძღვნილი სტუდენტების სასწავლო პროცესისა და კარიერის შემდგომი გაგრძელების საკითხებს, საერთაშორისო ურთიერთობებს, ალუმნის ჯგუფის გაძლიერებას, უნივერსიტეტის გამომცემლობის ავტორიტეტის მრავალ; უნივერსიტეტის პოპულარიზაციას; და ბოლოს – კონცეფციაში ნათქვამია, რომ „უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია და მისი გამართული მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული ისეთ „მარტივ“ ჭეშმარიტებებზე, როგორია: მოსმენის კულტურა, სწორი რჩევების გაცემა, გულსახეობა, თითოეული თანამშრომლის ღირსების დანახვა და აღიარება“.

მელა ჩუხუა – განათლების მეცნიერებათა დოქტორი, 11 საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომის და ერთი მონოგრაფიის ავტორი, არის ევროპულ მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის (ERA) წევრი. აქვს არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ევროპის საგარეო და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში, ბონენისა და მარტინის ინსტიტუტში, საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში „თბილისი“.

კონცეფცია – მელა ჩუხუა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანია გახდეს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წარმატებული წევრი და ამ სივრცეში ღირსეული ადგილი დაუკვიდროს ევროპულ სამეცნიერო გრადიციებს. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნისთვის უადრესად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება: მაღალმწიფობრივი, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი საერთაშორისო სტანდარტის დონის კადრის მომზადება; კანდიდატი ყურადღებას ამახვილებს სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ერთიანობის აუცილებლობაზე; სტუდენტთა და

პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთობის მნიშვნელობაზე; სოციალურ პოლიტიკაზე, რომელიც კურსდამთავრებულთა დასაქმების პროგრამის შექმნას, დიპლომის შემდგომი გადამზადებისა და ქართული ენის შემსწავლელი ცენტრების შექმნასაც გულისხმობს; ცალკე თავი აქვს მიძღვნილი მართვის დემოკრატიულ მოდელსა და საკადრო პოლიტიკას, რომელიც დეტალურად არის განხილული.

მარინა მუსხელიშვილი – დოქტორის აკადემიური ხარისხი (მექანიკისა და მეცნიერების კანდიდატი). არასამთავრობო ორგანიზაციის, „სამოგალოების კვლევის ცენტრი“ დირექტორი. აქვს თსუ-ში მუშაობის თექვსმეტწლიანი სტაჟი, 2010-2012 წწ. თსუ მოწვეული ლექტორი. არის 46 სამეცნიერო შრომის, აქედან 1 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი. 10 წლის განმავლობაში გახლავთ არა ერთი სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციისა და სემინარის და 22 საგარანგო პროექტის მონაწილე. საერთაშორისო ორგანიზაცია MUMR (Unite Mixte de Recherche In French) Development and society, a joint research unit of University of Paris I Pantheon –Sorbone in association with IRD-ის ასოცირებული წევრი. გახლავთ „სამოგალოების კვლევის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული მრავალი სემინარის საორგანიზაციო საბჭოს წევრი. „სამოგალოება და პოლიტიკა“, სკრედაქტორი 2010. კითხულობდა სალექციო კურსს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსის სტუდენტებისთვის. კითხულობდა ლექციებს კოლუმბიის, ნიუ-იორკის, ვაშინგტონის უნივერსიტეტებში, სენტ-გუსში.

კონცეფცია – მარინა მუსხელიშვილი დღევანდელ საქართველოში თსუ-ს განსაკუთრებულ როლს აკისრებს – კანდიდატი კონცეფციის შესავალში აღნიშნავს, რომ ბოლო ათწლეულების სირთულეების მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მნიშვნელობა და გავლენა არ დაკნინებულა. აღრე არსებული სამეცნიერო-სასწავლო სტრუქტურების რღვევის ფონზე, მან კვლავ ინიციატივა თავის თავზე უნდა აიღოს. თსუ-ში უნდა დაიწყოს ცოდნისა და განათლების შექმნა/წარმოების, გაერელებისა და თაობადან თაობაზე გადაცემის სისტემის მოწესრიგებისა და განახლების ახალი ტალღა – მიზანია ავტორს. შესაბამისად, კონცეფციაში წარმოდგენილია არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ – მთლიანად საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ხელვა. ცალკე თავი აქვს მიძღვნილი სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთობას, მათ შორის – კვლევების ხელშეწყობის კუთხით. ამასთან, კონცეფციის ავტორის აზრით, განათლების სისტემის რეფორმირება თავის თავზე სწორედ უნივერსიტეტებმა უნდა აიღონ. ცალკე თავი ეძღვნება სისტემის საბაზისო საჭიროებებს, ინფრასტრუქტურას, რესურსების სინერჯიას. აქ აქცენტირებულია ბიბლიოთეკების, სახელმძღვანელოების, აკადემიური გამოცემების, სამეცნიერო-კვლევითი დონის ამაღლების მხარდაჭერაზე; კონცეფციაში საუბარია გენუარის პრინციპზე და აქვე აღნიშნულია, რომ გენუარული პროფესორისთვის განსაკუთრებული სტატუსისა და წამყვანი როლის მინიჭება ჯერ კიდევ არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს კონკრეტული პროფესორის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. კანდიდატი აღნიშნავს იმასაც, რომ აკადემიური სივრცე გახსნილი უნდა იყოს სიახლისთვის და ცვლილებებისთვის. კონცეფციაში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული სამეცნიერო-კვლევითი



მარინა მუსხელიშვილი



მანანა ხაჩიძე

საქმიანობის ინტენსიფიკაციაზე; ფაკულტეტების კონფიგურაციის მოდიფიცირებაზე; ინტერ-დისციპლინარული მიმართულებების გაძლიერებასა და პრაქტიკაში ორიენტირებული სწავლების დამკვიდრებაზე; საბოლოო ჯამში კი იმაზე, რომ „იმ სტუდენტების ცოდნა და განათლების დონე, რომლებსაც უნივერსიტეტი გამოუშვებს, მეტად შესაბამისი იყო სამშობო ბაზრის მოთხოვნებს“.

მანანა ხაჩიძე – გექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. თსუ მუსკ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. 2000 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ-ში. არის თსუ-ს მუსკ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრი. სამაგისტრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ავტორი და ხელმძღვანელი. საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, როკუელერის საერთაშორისო ფონდის პროგრამის წევრი. საერთაშორისო ორგანიზაციის „International Council for Science: Committee on Data for Science and Technology“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი. არის საქართველოს სპელოლოგთა კავშირის გაბეგობის წევრი. არაერთი საერთაშორისო ექსპედიციის მონაწილე. 4 საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი. არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

კონცეფცია – მანანა ხაჩიძე მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი ვერღობა სამ ძირულ ცნებას:



მარინე ჩიკაშვილი



ინესა მერაბიშვილი



ნონა წოჭრია



დავით გოციანიძე

უნივერსიტეტი ირჩევს რექტორს

სტუდენტ-პედაგოგი-მკვლევარი, რომელთა ცალ-ცალკე განხილვა ლიდერის პოზიციების გასამაგრებლად და მსოფლიო საუნივერსიტეტო სივრცეში ღირსეული (და არა 5000-ს ქვემოთ) ადგილის დასაკავებლად წარმოუდგენელია. კონცეფციაში გაცემულია პასუხები კითხვებზე, რას უნდა აძლევდეს უნივერსიტეტი ამ სამუშაოს, რომ მან მიღოს შესაბამისი უკუკავება? კანდიდატს მიანია, რომ თსუ სტრუქტურა შეინარჩუნოს და განათლების რეფორმის ერთ-ერთ წარუმატებელ გამოცდებს წარმოადგინოს; ფაკულტეტი გა-მსხვილება კი არალოგიკური იყო და უარყოფითად აისახა მრავალ საუნივერსიტეტო პროცესზე. შესაბამისად, კანდიდატი რექტორად არჩევის შემთხვევაში, სტრუქტურის გადახედვას გეგმავს – საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა აზრის გათვალისწინებით. მანანა ხაჩიძე ასევე გადაჭარბებულად მიიჩნევს მტკიცებას იმის შესახებ, რომ თსუ მთავარი სამეცნიერო ცენტრია საქართველოში; იგი ამბობს, რომ ამ სტატუსიკაში უმთავრესი დამახასიათებელი შემოერთებული ინსტიტუტების აქ-ვი; აქვე საუბრობს კვლევის გაძლიერებაზე, ასევე მის ინტერნაციონალიზაციაზე, რათა საქართველომ დაიწყო „გვიანების“, ანუ ნიჭი-ერი სპეციალისტების აგრეგირების როლის შეს-რულება. ბოლოს კანდიდატი ამბობს, რომ არც ის კარგი და დადებითი უნდა დაიკარგოს, რაც ამჟამად მიმდინარეობს თსუ-ში.

მარინე ჩიკაშვილი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 2005 წლიდან დღემდე არის თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. 1990 წლიდან დღემდე ეწევა სამეცნიერო, აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას თსუ-ში. გახლდათ თსუ ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიური დეპარტამენტის დირექტორი. 2010 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამას. მუშაობდა საქართველოს მეტაურის სახელმწიფო აპარატში. 2003 წლიდან დღემდე არის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექ-ტორი. გახლდათ 85 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის ავტორი. ბოლო 5 წლის განმავლობაში გახლდათ მრავალი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, მომხსენებელი. ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობდა 8 გრანტში, როგორც ხელმძღვანელის, ისე მკვლევარის სტატუსით. გახლდათ თსუ ფსიქოლოგიის სადისერტაციო საბჭოს წევრი, სოციოლოგიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდო-მარის მოადგილე. სამი საერთაშორისო საორ-განიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. 2001 წლიდან დღემდე „სოციალურ მეცნიერებათა“ სერიის მთავარი რედაქტორი. კითხულობდა ლექციებს ლუნდის, კემბრიჯის, ოქსფორდის, დანიშენისა და ოტავის უნივერსიტეტებში, კრეფას მართლმადიდებლურ აკადემიაში, სტენფორდში, ლუბლიანის კათოლიკურ უნივერსიტეტში.

კონცეფცია – მარინე ჩიკაშვილი კონცეფციის შესავალშივე გვაცნობს ინფორმაციას უცხოელი ექსპერტების მიერ 2004-2011 წლების შეფასების ლოკუმენტიდან, რომლის თანახმადაც: ერთი მხრივ აკადემიური რეფორმების მხრივ გააზრებული პროცესი, (ექვსი ფაკულტეტი, სამი საფეხურიანი სწავლება, ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალ-

ზაცია), მეორე მხრივ სერიოზული ხარვეზებია ადმინისტრირების კუთხით (დუბლირება ფაკულტეტების და ცენტრალური ადმინისტრაციის დანაყოფების, ერთიანი მართვის არარსებობა, სწავლების და ფინანსების განსვლა და ა.შ.); შესაბამისად, ამ მოცემულიდან გამომდინარე, კონცეფცია რამდენიმე მიმართულებას მოიცავს – ორგანიზაციული სრულყოფა, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია სწავლების სამივე საფეხურზე და ხარისხის უზრუნველყოფა გლობალურ აკადემიურ სივრცეში ინტე-გრირებისთვის, კურსდამთავრებულთა კვალიფი-კაციის შესაგვეცხობა შრომითი ბაზრის მოთხოვნებისადმი, უნივერსიტეტის აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცოდნის გავრცელებისა და ზოგადად განათლების ამაღლებისთვის. კონცეფციაში საუბარია ორგა-ნიზაციული ჩარხის ცვლილებასა და მასში სტრატეგიული განვითარებისა და ინსტიტუციური კვლევების ერთეულის შექმნის აუცილებლობაზე; დეცენტრალიზაციისა და ფაკულტეტების მიერ საკუთარი ფინანსების განკარგვის პერსპექტივაზე; ახალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვაზე; გაანალიზებულია უნივერსიტეტის რეინტეგრირების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში; პირველი დიდი აკადემიური კონკურსის ჩატარების ვადად კი განსაზღვრულია 2017 წელი. კანდიდატს ხეფიცი, მანამდე უნივერსიტეტში ძლიერი და სუსტი მხარეების დენეფიციერება უნდა მოხდეს და სამუშაო გეგმაც ამის მიხედვით განისაზღვროს. კონცეფციაში საგანგებოდ ჩერდება ავტორი დოქტორანტურაზე, როგორც სწავლების ყველაზე სუსტ რგოლზე და საუბრობს მისი განვითარების პერსპექტივაზე; აქვე ხაზგასმულია ახალგაზრდა კადრების მოსამზადებელი სპეციალური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა; ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესა-გვეცხობას შრომითი ბაზართან. და ბოლოს – ყველაზე მტკივნეულ საკითხად მარინე ჩიკაშვილი თსუ-ს ავტონომიურობას ასახელებს და, შესაბამისად, მთავარ მიზნადაც უნივერსიტეტის ავტონომიურობის მდგრადი სისტემის შექმნას მიიჩნევს.

ინესა მერაბიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერე-ბათა დოქტორი, სრული პროფესორი. 1996 წლიდან დღემდე თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორი. 1979 წლიდან 2007 წლამდე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თსუ სადისერტაციო საბჭოს წევრი 2004 წლიდან დღემდე. ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი. არის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. გახლდათ 100-ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის 6 მონოგრაფიის და 3 სახელმძღვანელოს ავტორი, არაერთი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. 23 ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო გრანტის, პროექტის და პროგრამის მონაწილე. კითხულობდა ლექციებს ნოთინგჰემის საერთაშორისო სკოლაში, დუბლინის უნივერსიტეტში, ლონდონში ბრიტანულ-ქართულ საზოგადოებაში, ბაირონის ბრიტანულ საზოგადოებაში და ა.შ. არის საერთაშორისო ელჩი – HE (ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტიდან). „2004 წლის ქალი“ ნომინაცია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტიდან.

კონცეფცია – ინესა მერაბიშვილი კონცეფციას

უნივერსიტეტის დღევანდელი დღის კრიტიკული შეფასებით იწყებს. ამბობს, რომ რეფორმამ ბევრი მიანი მოუტანა უნივერსიტეტს: „თუ სტუდენტს დღეს რეფორმირებულია, მას გვერდით უდგას გააბიჯებულნი პროფესორი“ – აღნიშნულია კონცეფციაში. აქვე ნათქვამია, რომ კანდიდატი, რექტორად არჩევის შემთხვევაში, გაითვალისწინებს გია დვალის კონცეფციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ინესა მერაბიშვილი ეთანხმება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გ. კვიციანიძის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოთქმულ მოსაზრებას ერთიანი სამეცნიერო სივრცის შექმნის აუცილებლობის შესახებ და ამბობს, რომ უნივერსიტეტი ამ სივრცის შექმნის ერთ-ერთ პირობად უნდა იქცეს. აქვე აკადემიური პოზიციების დაკავებისა და ზოგადად მენეჯმენტის ბრიტანული გამოცდილებაც მოჰყავს და მას თსუ-ში არსებულს ადარებს. კანდიდატი საუბრობს კათედრების აღდგენისა და სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტების რეორგანიზაციის გაზრდის აუცილებლობაზე, თითოეულ გეგმის შემუშავებას, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტში დაბრუნდებიან ღირსეული კადრები – მათ შორის დათხოვილი პროფესორები, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. კონცეფციაში მოყვანილია საქართველოს პარლამენტის სიტყვიერი იმის დასადასტურებლად, რომ პედაგოგი განსაკუთრებულ დაფასებას იმსახურებს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია პროფესორის დევა პოლიტიკური ნიშნით. აქვე აქცენტია გაკეთებული დოქტორანტთა ხელშეწყობის აუცილებლობაზე, გაქვრებულია უნივერსიტეტის კამპუსის ადგილის იდეა, ცალკე თავი აქვს მიძღვნილი თსუ სტუდენტებისა და თსუ მეცნიერებისთვის განსახორციელებელ საქმიანობას.

ნონა წოჭრია – დოქტორი სახელმწიფო პოლიტიკის დარგში, ექიმი. კავკასიის უნივერსიტეტი, ჯანდაცვის მართვის უნივერსიტეტი პროფესორი. სამაგისტრო კურსების „ჯანდაცვის სისტემების და დაფინანსების პოლიტიკა“, „გლობალური ჯანდაცვა“ მასწავლებელი. არის 4 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მიღებული აქვს ორი გრანტი, არის სამხრეთ მდინარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და ელმუნდ მასკის სახელობის სტაჟინდიანტი. მუშაობდა სამხრეთ მდინარის უნივერსიტეტის, მასკის სახელობის სახელმწიფო სამსახურის სკოლაში, პრინსტონის უნივერსიტეტის ედვოკატი ვილსონის სკოლის და კოლნში სხვადასხვა კვლევით თანამდებობაზე.

კონცეფცია – რექტორის კანდიდატი ნონა წოჭრია დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში უნივერსიტეტში „ბრძნული მართვის“ აუცილებლობაზე საუბრობს. ამ ბრძნული მართვის დასაწვდომად აუცილებლად მიიჩნევს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას: სად ვართ? ვასწავლით იმ სპეციალობებს, რომელიც უნდა ვასწავლოთ? ვაწარმოებთ მნიშვნელოვან კვლევებს? არის სწავლების ხარისხი საუკეთესო? არის მაგისტრალურ-გეგმიური ბაზა შესაფერისი საუკეთესო ხარისხის მისაღწევად? რა არის ხელის შემშლელი ფაქტორები? შემდეგი ნაბიჯი მიზნის განსაზღვრა – ანუ სად გვინდა ვიყოთ? მას შემდეგ, რაც განისაზღვრება

მიზანი, გასარკვევია როგორ მივიღოთ ამ მიზნამდე? რა დრო დაგვჭირდება? როგორი სტრუქტურა? როგორი მოვიპოვოთ ფინანსები? როგორ შევინარჩუნოთ საუკეთესო კადრები? კანდიდატის აზრით, უნივერსიტეტის რექტორმა უნდა შეასრულოს კატალიზატორის როლი უნივერსიტეტის გრანდფორმაციის პროცესში და მან მიუღი უნივერსიტეტი უნდა შემოკრიბოს ამ მიზნის მისაღწევად.

დავით გოციანიძე – 2009 წლიდან დღემდე თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი. გახლდათ სანკ-პეტერბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ISAPL-ს (International Society of Applied Psycholinguistics) პრეზიდენტი, МАРПРЯЛ-ის Международная ассоциация преподавателей русского языка и литературы) პრეზიდიუმის წევრი. FIPLV-ის (International Federation of Language Teacher Associations) წევრი და საქართველოს მულტილინგვური ასოციაციის წევრი. თსუ სადისერტაციო საბჭოს წევრი 2001 წლიდან. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 20-ზე მეტი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 80-მდე საერთაშორისო და რეგიონული კონფერენციის და 4 გრანტის მონაწილე. გახლდათ მულტილინგვური ასოციაციის ეურნალ „Homo Loguenes“-ის რედა-ქტორი, რამდენიმე საერთაშორისო ეურნალის რედკოლეგიის წევრი. მიღებული აქვს პუშკინის საერთაშორისო მედალი. ლენინგრადის უნივერსიტეტის სამეცნიერო და თსუ ახალ-გაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პრემიები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. გახლდათ ფლორენციის, საარბორიუკენის, გოგლანდის, სანკ-პეტერბურგის, ამსტერდამის, ვარშავის, იენის და ბაქოს სლავური უნივერსიტეტების მიწვეული პროფესორი.

კონცეფცია – დავით გოციანიძე თავის კონცეფციაში ყურადღებას ამახვილებს უნივერ-სიტეტის როლზე თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში; რექტორის საქმიანობაში მთავარ პრიორიტეტებად კი თვლის: აკადემიური, სამეცნიერო-ორგანიზაციული, საკადრო და ფინანსურ-ეკონომიკური ავტონომიურობის მიღ-წევას; ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას და დამატარებას; შედარებითი საგანმანათლებლო კრედიტების ფართოდ დანერგვასა და განა-თლების ხარისხის ამაღლებას; ინოვაციური აქტივობის განვითარებას და ახალი გეგნი-ლოგიების დანერგვას; საზოგადოებასთან ურთიერთობას, დისკანციურ განათლებას, დახმარებას და კონსულტაციების ცენტრების შექმნას; არაქართულენოვანი მოსახლეობის საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირებას; უნივერსიტეტის თანამედროვე საინფორმაციო სტრუქტურის შექმნას; სამე-ცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციას. დავით გოციანიძე საუბრობს შესაძლო რისკებზე და მათი დაძლევის საკარგო გზებზე, რომელთა შორისაცაა აკადემიური საბჭოს როლის მზდა; ფაკულტეტებისა და სხვა სტრუქტურების განვი-თარების გეგმების სრულყოფა და ა.შ.

კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატის სრული ბიოგრაფიისა და კონსტრუქციის ნახვა შეუძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.tsu.edu.ge/ge/vacancies/v9yubuoqwhqdlni37/>